Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

შემოსავლების სამსახურის მეთოდური მითითებები და სიტუაციური სახელმძღვანელოები

"დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე" შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 17 ივნისს N19593 ბრძანებით განხორციელებული ცვლილებით, დამატებული ღირებულების გადასახადის თაობაზე მეთოდურ მითითებას დაემატა დანართი N8 - "მომსახურების გაწევა".

ასევე, 2021 წლის 24 ივნისს დამტკიცდა სიტუაციური სახელმძრვანელოები შემდეგ საკითხებზე:

- ქონების გადასახადი ორგანიზაციის მიერ ფართის იჯარით გაცემისას;
- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული შემოსავლების დაბეგვრა;
- ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ფართობის (ბინის) ქირის თანხის მიღება ნაღდი ანგარიშსწორებით საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების გარეშე;
- სტაჟიორის მიერ მიღებული შემოსავლის ხელფასად განხილვა;
- საერთაშორისო კომპანიის მიერ გაცემული ხელფასის დაბეგვრა;
- საერთაშორისო კომპანიის მიერ განაწილებული მოგების დაბეგვრა;

„საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის #275 დადგენილებაში ცვლილება

„საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის #275 დადგენილებაში შესული ცვლილებით განისაზღვრა საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე გადასახადის გადამხდელის მიერ განცხადების შეტანის ფორმა, განცხადებაზე დასართავი დოკუმენტი, ასევე განცხადებაზე ხარვეზის დადგენის საფუძველი და მისი შეტყობინების ფორმა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 8 ივნისის #134 ბრძანება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 8 ივნისის #134 ბრძანებით ცვლილება შევიდა მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესში", რომლის მიხედვითაც დადგინდა რომ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის გამარტივებული წესი ვრცელდება საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, ამავე საქმიანობის (საზოგადოებრივი კვების საქმიანობის) ნაწილში ჩამოწერას დაქვემდებარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ (გარდა აქციზური საქონლისა).

ცვლილება შეეხება ისეთი საზოგადოებრივი კვების ობიექტებს, როგორიც არის რესტორანი, კაფე, ბარი, სწრაფი კვების ობიექტი, სასადილო, საკონდიტრო, საცხობი ან სხვა ობიექტი, რომლებიც ახორციელებენ საკვების დამზადებას და რეალიზაციას როგორც ადგილზე (მათ შორის, ე.წ. „თეიქ ევეი" და „დრაივი"), ისე პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, მიტანის (ე.წ. „დელივერი" სერვისი) გზით.

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

მედიაციის შესახებ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები

საქართველოს პარლამენტის მიერ 2021 წლის 22 ივნისს რატიფიცირებული იქნა „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია. კონვენციის რატიფიცირებისას გაკეთდა დათქმები, რომ კონვენცია არ გამოიყენება იმ მორიგების შეთანხმებების მიმართ, რომელთა ერთ-ერთი მხარეც არის საქართველო ან რომელთა ერთ-ერთი მხარეც არის რომელიმე სახელმწიფო უწყება ან რომელიმე სახელმწიფო უწყების სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი, ასევე რომ კონვენცია გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებზედაც მორიგების შეთანხმების მხარეები შეთანხმდებიან კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული კონვენციის რატიფიცირებასთან ერთად შესაბამისი ცვლილებები განიცადა ეროვნულმა კანონმდებლობამაც, კერძოდ:

2021 წლის 21 ივნისს მედიაციის შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებით „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენციის შესაბამისად, განისაზღვრა საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი საფუძვლები. ცვლილების თანახმად, საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებაზე კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

კანონის თანახმად, ცნობასა და აღსრულებას არ ექვემდებარება საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, რომელიც:

ა) დადებულია იმ დავის მოსაგვარებლად, რომელიც წარმოიშვა საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ერთ-ერთი მხარის (მომხმარებლის) მიერ პირადი, საოჯახო ან საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის დადებული გარიგებიდან;

ბ) დადებულია იმ დავის მოსაგვარებლად, რომელიც გამომდინარეობს საოჯახო, მემკვიდრეობის ან შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებიდან;

გ) დაამტკიცა სასამართლომ ან დადებულია სასამართლოში მიმდინარე საქმისწარმოების დროს და ექვემდებარება აღსრულებას, როგორც სასამართლო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს სახელმწიფოში;

დ) გაფორმებულია და ექვემდებარება აღსრულებას, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების წესები არ გამოიყენება იმ საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მიმართ, რომლის ერთ-ერთი მხარეც არის სახელმწიფო ან ნებისმიერი სახელმწიფო უწყება ან ამ სახელმწიფო უწყების სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი.

საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიების შექმნის მიზნით სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები, რომლებიც ადგენს საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებაზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის სავალდებულოობას, განსაზღვრავს მის ოდენობას, ითვალისწინებს საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენაზე უფლებამოსილ პირს და ადგენს მასთან დაკავშირებით წარსადგენი დოკუმენტებისთვის სავალდებულო მოთხოვნებს, ითვალისწინებს შუამდგომლობის დასაშვებობის და დასაბუთებულობის განხილვის ვადებს, ასევე საერთაშორის სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს.

ცვლილება სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონში

2021 წლის 9 ივნისიდან ძალაში შევიდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა საგანგებო მდგომარეობასთან, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიშ ეპიდემიასთან ან პანდემიასთან დაკავშირებით სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარის (კონტრაჰენტის) მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებები.

კერძოდ, ცვლილების თანახმად, თუ სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/საკუთრებაში გადაცემის/მართვის უფლებით გადაცემის/სარგებლობაში გადაცემის პირობის შესრულება საგანგებო მდგომარეობის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის ან პანდემიის

დროს შეუძლებელია ან გართულებულია, შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ან/და ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის (გარდა საპრივატიზებო საფასურის შემცირებისა) თაობაზე გადაწყვეტილებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად, ამ მხარის (პირის) მიერ ქონების მმართველისთვის დასაბუთებული თხოვნით მიმართვის საფუძველზე, ქონების მმართველის წარდგინებით იღებს საქართველოს მთავრობა. ამრიგად, ცვლილების შესაბამისად სპეციალურად აღინიშნა ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობისას დასაშვები ხდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელშეკრულებო ურთიერთობების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.